

493  
1872/3

# ცისკარი.

1872

აგვისტო.

წელიწადი მეთექვსმეტე.

წოდება თხზულებათა:

- I, — ჩემი თხოვნა ღ ზასუსი (ლექსი) წ.
- II, — კაცის ცხოვრების თავს გარდესწავალი, (მო-  
თხრობა ნათ.) იუ. კერესელიძისა.

ტფილისს.

მარტორუჩიანის ტიპოგრაფიაში.

~~XV~~  
~~119~~

## ჩემი თხოვნა.

სიცოცხლისა, სიხარულის თვალები,  
კავ-წარბები, წამწამები შავები;  
ნაწნავეები, ლოუბსუდან საღები;  
ეს მიწოვეთ, დაიარეთ ქალები!

\*  
\* \*

უელი თეთრი, როგორც რომ მარმარილო,  
ცხვირი, ტუჩი, არ ჰქონდეს უმარილო;  
კბილი სითეთრის დამბნედავი ალები;  
ეს მიწოიეთ დაიარეთ ქალები!

\*  
\* \*

ფუნჩულა ბ ჰაწაწინა სელები,  
წელ-წერწეტი, ჰკვიანური აზრები,  
ანგელოსებრ მშვიდი ხასიათები;  
ეს მიწოვეთ დაიარეთ ქალები!

334



ფეს ჰატარა, ბულკეივითა ფუნხულა,  
 ფეს საცმელიც იაკუნდისა სულა,  
 წინ კაბასე ბრილიანტის დილები,  
 ეს მიპოვეთ, დაიარეთ ქალები!

\*

\* \*

მისრა-მოსრა ასალ-ასალ მოდისა,  
 გული, მკლავი, უთეთრეს ქაღალდისა,  
 ჭქონდეს ქალაქს დიდროვანი სასლები;  
 ეს მიპოვეთ დაიარეთ ქალები!

\*

\* \*

ოთახები ევროპულად დართული,  
 შიგ ბუხრები მოღუღუნე ქართული,  
 სწალნაშიაც მარმარილოს ვანნები;  
 ეს მიპოვეთ, დაიარეთ ქალები!

\*

\* \*

მებელს ჭქონდეს სულ დიბა გადაკრული,  
 კარებები იმითვე დაფარდული,  
 ჭ ფანჯრებსა წანავესკა მქრალეები;  
 ეს მიპოვეთ დაიარეთ ქალები!

\*

\* \*

ცხენებიცა არლოვსკის საფოდისა,  
 ეკიპაჟიც საგრანიცის მოდისა,  
 ჩუმათ გეტყვით: გადმისადოს ვალები;  
 ეს მიპოვეთ, დაიარეთ ქალები!

\*

\* \*

აწა სთხოვდეს არავისა არაფერს,  
 იუოს სწაში დიდებისა შესაფერს,  
 უუთში ჭქონდეს, გაჭედილი ფულები . . . .  
 ეს მიწვეთ, დაიარეთ ქალები!

\*  
 \* \*

იმ წამს ვითხოვ შესართავად იმასა.  
 დაჰპატიუებ მეგობარს, მძას, უველასა,  
 თუ უარ ვჭეო. მე დამიდგეს თვალები;  
 ეს მიწვეთ, დაიარეთ ქალები! . . .

ქ.

### ზ ა ს უ ს ი .

შენს თხოვნაზედ მეცინება ძალიან;  
 ვერც ვაღსრულებ, რადგან არა მცალიან!

შენს გულსა აქუს ურიცხვი სურვილები,  
 სად მოვებნოთ ავრე შემეობილები?! . .  
 უნდა ჭქონდესით მათ დანაშაულები,  
 რომ შენ შეგროთოთ უბედური შვილები.

შენ მოსებნე, მე კი არა მცალიან;  
 შენს თხოვნაზედ მეცინება ძალიან!

წელ-წერწეტსა მონარნარე მრხეველს  
 დიდ კრებაში ჰირველ შესამჩნეველსა,  
 მშენიერსა, სურნელების მფრქვეველსა,  
 კეკლუცობით ჭკუის დამაბნეველსა

შენ ვინ მოგცემს, შენთვის ვისა სცალიან?  
 შენს თხოვნასედ მეცინება ძალიან!

ბრილიანტი თვალებს ავიჭრიალებს,  
 ლამაშების ჭვრეტას დაგიკვიანებს,  
 თვალ აბურვით უკუღმა კატრიალებს;  
 ბევრი ფული თვთ შენვე კაზიანებს.

ვერ ვიპოვნი, ამას ვწუსვარ ძალიან;  
 შენ მოძებნე, მე კი არა მცალიან!

მიმოხვრა რომ მოდასედ შეიცვალოს?  
 ვაჟ თუ გულიც ძალე გამოიცვალოს,  
 თვს სიმდიდრეც მერე სხვას ანაცვალოს,  
 მაგ გულიდამ გრძნობაც გამოგაცვალოს.

შენ მოსძებნე, მე კი არა მცალიან;  
 შენს თხოვნასედ მეცინება ძალიან!

ნეტა რად გსურს მარმარილოს ვანნები?!  
 თუ დაგცხობა, ღიასუმიც ებანები.

შენ მოსმებნე ქართულური ქალები,  
სხვა თუ შეკსვლა დავიდება თვალები!

შენ ეპებე, მე კი არა მცალიან;  
შენს თხოვნესედ შეცინება ძალიან! . . .

# კივის ცხოვრების თავს გარდასვალთ.

(დასასრული).

ახლა დაუბრუნდეთ ჩუქნის მოთხოვნის გმირსა: კაცის სული მიწის ნიადაგს მიემკვსავენება, რომელიცა შეიძლება არ შეიმუშავოს კაცის სულმა და იქნება ვერანა; ან დათესოს ზური, რომლის მოსვლა ღმერთსედა არის დამოკიდებული, ან კიდევ ბოსტნეული გაანინოს, მაგრამ ამ შემთხვევაში მოვლა არის საჭირო, მინამ აკრეფის დრო მოუვიდოდეს, თორემ უბრალო ბალახი მოერევა და სულ წასდება. ეს კანონი ბუნებისა, უნდა მივაწეროთ დიმიტრიცკის და სალომეა ჰეტროვანსა, რომელნიცა მიწიან კიევისაკენ ევიზაჟით, ვითომც და, დიმიტრიცკის სიტყვით ეირიში დიდძალი მამულები იყიდონ, იქ დასასლდნენ და ბედნიერად იცხოვრონ.

— ოჰ, რა სასუფეველის გემოს ვიკემოვნებთ! ეუბნებოდან კნასედა სალომეა ჰეტროვან დიმიტრიცკის და უეურობდა კულმსკრუაღედ თვალეში.

— მართლაც სასუფეველის გემოვნებას, მიუგოდ მიტრიცკიმ. ჩუპნი იქ ბედნიერები ვიქნებით, — რაკი ცხოვრება ინატროს კაცმა, ცხოვრება უნდა ერქვას! ასლა, რას აკეთებს, ნეტა ვიცოდე შენი ქმარი?

— ას, ნუ მომაგონებ თუ გიყვარდე! სთქვა სალო-მეია ჰეტროვნამ გრძნობით, — უნდა იცოდე, თუ რა იძულებით შემრთეს ის წუელი!

— ოჰ, ერთი მიაძბე თუ ღმერთი გწამს, სასიამოვნოა ვიცოდე, უთხრა დიმიტრიცკიმ ზ თან დაამთქნარა.

— თათქოს წინათვე ვგრძნობდი, რომ მე შენ დაგრჩებოდი. აკი არა, სულ უარს ვუბნებოდი, არ მინდოდა, მეჯავრებოდა.

— შენ ეჯერავს წინათ გრძნობა?

— ოჰ, როგორ არა! შენ?

— ოჰ, რასაკვირველია! წინათ გრძნობა არ იყო, რომ მოსკოვში წამოვედი, თითქოს გულმა მითხრა, შენ შეგეუბნებოდი.

— იქნება მართლა? მე რა გითხრა გულმა?

— რა მითხრა, თითქოს გულმა ველი-მერა მოსკოვში წადიო, იქვე შემევივარდი, ჯერ არ მენასე, ვიცოდი, მივხვდი რა სიტკბობასაც ვიგეშებდი; ჩემი გული რაღასაც ეძებდა, მოსკოვში რომ მოველი ზ შენ კი გიპოვნე.

ამ სიტუვასედ, მარცხენა კელი დიმიტრიცკიმ, შეასო ჰატარა უუთსა, წინ რომ ედვა ფულით ზ ბილეთებით სავსე, რომელიცა მოეტაცა ქრმისავან სალომეია ჰეტროვნას, ზ მარჯვენა კელი გადასვია სალომეიას.

— ეგ საკვირველია!

— ძალიან, ძალიან საკვირველი!

ამასობაში ჩუჭნი მესავრები მოვიდნენ ქალაქს ტულში, დიმიტრიცკიმ უბძანა კუჩერს გოსტინნიცაში მავბრუნებინა.

— ტრასტირში? ჰკითხა კუჩერმა.

— ჰო, მეთქი!

— ას! არა, სჯობია სადმე საკუთარი სახლი ვიქირათ! ტრასტირში როგორ იქნება, ჩემს დღეში ტრასტირში არა ვუოფილვარ, არა, არა. ანობდა სალომეია ჰეტროვნა.

— რას ანობ? რა სირცხვილია გოსტინნიცაში ჩამოსდომა. მესავრები ვოველთუს აქ ჩამოსდებიან სოლმე.

— არა, არა, არ შემიდლიან! მერე რაღა მეშველებს, მცნობს ვისმეს რომ შევეფეთოთ.

— მერე რა უუოთ? ეგ უფრო კარგი. თუ მოსკოვში წამსვლელნი არიან, მოკითხვას დააბარებ შენ მცნობებთან ზ ბოდის მობიდი, რომ წამოსვლის დროს არავის გამოესაღმე.

— ოჰ, მავას რას ანბობ? მაგ სირცხვილს შე ვერ ავიტან!

— ეს რა ანბავია? განა გრცხვენთან ჩემთან ეოფნა? ეგ არ ვიცოდდი!... თუ ჩემთან წამოსვლა გრცხვენოდა, მაშ რადას მომღუფდი.

გონი... კარეტა დაღვა ტრანსტირის წინ; ბიჭმა გაუღო კარეტის კარები.

— ეგ არ ვიცოდდი. ამბობდა დიმიტრიცკი, — რადგანც აგრეა, მე შენ გაგანთავისუფლებ სირცხვილისაგან.

დიმიტრიცკი, რომ უნდა გამოვარდნილიყო კარტითგან, ზე მაშინვე ავარდნილიყო ტრანსტირში.

— ნიკო! შეუძახა სალომეია ჰეტროვნამ დიმიტრიცკის, რა დაუჭირა სერთუკის კაღთა.

— თავი დამანებე, ავიდე, მიუგო დიმიტრიცკიმ.

— ნუ ჯავრობ ჩემზედ! როგორც შენი სურვილი იყოს, ისე მოიქეცი ჩემო სულს, მოდი მომეხმარე გამოვიდე კარტითგან.

— ეგ სხუა არის; წინააღმდეგობას ქალისაგან ვერ ავიტან; რომ ვთქუა: ასე, ასე უნდა იყოს, — ჩემთჯს სულ ერთია, ვინც უნდა იყოს, ჩემი ხასიათი ეს არის.

— ას, ნიკო, როგორი ფიცხის გულისა ხარ! უთხრა სალომეია ჰეტროვნამ, როდესაც შევიდნენ ტრანსტირის ნომერში.



— მე ბუნებითვე ერთი კაპრიზი მჭირს, თუ წინა-ადმდეობა გამიწია ვინმემ, მაშინათვე სულერთიან მივლევ-მოვლევავ, სთქუა გაჯავრებით დიმიტრიცკიმ.

დიმიტრიცკიმ უბანა სადილის მოტანა ზ ერთი ბოთლი შამპანცეისაცა.

— ჩუტნი, სულიკოჯანი, ჩუტნი სადღეგრძელო ჩუტნი თუთანი დავლიოთ; ეს უფრო უკეთესი იქნება. სსუა გულიანათ ვერ დალევს ჩუტნის სადღეგრძელოს; ენით იღაპარავენ მსოლოდ, სსუა არაფერი. ზირათ გეტყვი-ანი „ღმერთმა გადღეგრძელოს“ ზ გულში კი ანობენ, ეშავენა წაიღოს შენი თავიო. ტყვილია? ასე არ არის?

— სწორეთ ეგრა!

— აბა ზ ჭა, მოიტა ბოკალი, მივახლოთ ერთ-მანერთს ზ ჩავზროშტოთ. შენა ხარ ჩეზი იმედი, მე შენი მეგობარი! სთქუა ქეიუში მოსულმა დიმიტრიცკიმ.

— შენი სადღეგრძელო იოს! ჩემი სურვილი ხომ იცი, შენთვის ცუდს არ მოვინდომებ.

— ეგ რა ცოტა მოსვი?

— მეტი არ შემოდლიან ნიკო.

— ჭმ! ეგ ცუდი ნიშანია! ცივად უთხრა დიმიტრიცკიმ, ჩემი სურვილია რომ დალიო სულ!

— კიდევა ჯავრობ? ოღონდა ნუ გაჯავრდები ზ დავლევ!

— აი, ავრე აი! ახლა კი მიუვარსარ! თუ გინდა ჩუქნში ერთი კაფშირი იუოს, ჩვეულებაც ერთი უნდა ვიქონიოთ. უთხრა დიმიტრიცკიმ.

— სადილს შუან, დიმიტრიცკი შევიდა იმ სალაში, სადაცა ბელიარდსა თამაშობდნენ. ბელიარდის თამაშობა, იმისი სელობა იყო. ერთის მინუტის შემდგომს ისმობდა საბილიარდოში ეს სმები:

— მოვიდა წვეილი! უვიროდა დიმიტრიცკი, რო-  
შელიცა ეთამაშებოდა ერთს როტმისტრს.

— ჯერ ერთი ბოთლი შამპანსკი გასსსნევიანე.

— იცოდუ ორმოც ზ ათი თუმანია, თითო მო-  
გება. ანობდა დიმიტრიცკი.

— ეკ ბევრია, უზასუსებდა როტმისტრი, — უფალო აფიცრებო, თქუწნ უნდა გასცეთ ზასუსი, მაგდენი ფუ-  
ლი არა მაქუს.

— ჩუწნ მიუცემთ ზასუსს, შეჭუვირეს აფიცრებმა.

— ამასობაში დიმიტრიცკიმ ორას თუმანადინ წაავო;  
ნის ჭკუიღვან გამოსული, ზ გატაცებული მანც არ  
შეეზოდა თამაშობას. ამ დროს ვიღაცამ სალის კარე-  
ბი გააღო ზ სალომეია ჰეტროვნამ რა თვალი შეას-  
წრო დიმიტრიცკის, დიდად შეწუსდა ზ დაუვირია:

— ნიკო!

— მოვიდა კიდევ წვეილი შარი! უვიროდა დიმი-  
ტრიცკი.

როდესაც სალომეიამ ნახა, დამახებით ვერა გააწყობრა, მივიდა ახლოს ზე იქიდგან უძახოდა...

— დრო არის მოშორდე, ნიკო!

— ფუ! აბა თუ ჩავარდეს შარი! ანობდა დიმიტრიცკი.

— დროა თავი დანებოთ ნიკო, თამაშობასა. კიდევ განუძეორა სალომეიამ.

— თავიდგან მომშორდი, ერთი მამა-გიცხონდა, რა შენი დარდი მახეს. კიდევ არ იქნა ვერ ჩავაგდე შარი. კართობით ლაპარაკობდა დიმიტრიცკი.

სალომეია ჰეტროვნა შიშისაგან შეკრთა, ისე დაუვირა დიმიტრიცკიმ.

— უნდა გელძეოროთ ვითამაშოთ, ჯერი არ არის. ეგ არ იქნება. ვერიოდა დიმიტრიცკი.

— ეგ როგორ იქნება. არ შეიძლება. ეუბნებოდა როტმისტრი,

იმან წაგო ექვსჯერ, რომ არ იქნა, შარები გადაყარა ზე თავი მიანება.

— დანარჩენს ფულს ახლავე მოგიტანთ, სთქუა დიმიტრიცკიმ ზე გაუიდა.

სალომეია მდივანსედ იჯდა, თვალბსედ კელები მიეფარა ზე ღრმად ჩაფიქრებულიყო. იმის ფიქრში, ახალი სიუჟარული, ებრძოდა იმის ამხარტავანებასა.

— ეს რა მიყავი, ჩემო მეგობარო, უთხრა დიმი-

ტრიცკიმ რა მიუახლოვდა.

სალომეიამ ჰასუსი არა მისცარა.

— მაგრამ მაინც მე შენ არ გამოტყუნებ, რადგანაც არ იცი ბილიარდის ანგარიში, მაგრამ შეძარცხვინე კი.

— რით შეგარცხვინე? შენ შეძარცხვინე, მე კი არა!

— ჭმ! ახლა სიანხსლემ გამიარა და ამისათვის მე შენ ავიხსნი. ბილიარდში ერთი თამაშობა არის, — თუ არ მოიკე, უნდა დასასჯელად ან ფული მისცე და ან ბილიარდის ქვეშ ჩავსონ. როდესაც ამას ვთამაშობდით, შენ დამიძახე, შემძალე. წავაგე და უნდა ბელიარდ ქვეშ ამოვესვით. მე სირცხვილით აბა როგორ ამოვჯდებოდი. ახლა ჩემი წინააღმდეგი ან დუელში უნდა გამოვიტხოვო, ან არა და, იმდენი ფული უნდა მივცე, რომ ჩემი ნამუსი გავიწმინდო; ისევე დუელში უნდა გამოვიტხოვო, ამისათვის რომ ფული საიდან მივცე, შენის ფულითვან სომ არ მივცემ. ახლა კი მშვიდობით!

— ნიკო! ნიკო! უთხრა სალომეიამ რა დაუჭირა დიმიტრიცკის კალთები მაგრამ, მე შენ არ გაგიშვებ!

— არ შეიძლება ჩემო სულო, ჰატოცსნების სეიდვა, მსოლოდ შეიძლება, ან ფულით, ან არა და სიკუდილით.

— ას! მე შენ არ გიუვარვარ. თუ კი რამ მახადია შენი არ არის!

— ოო! ახლა ვხედავ, რომ შენი სმუიკალსკი განუხომელია. მაჰატე, რომ არა მჯეროდა!

— რამდენი გინდა ჩემო მეგობარო ფული? აი გასაღები უუთისა, რაც საჭირო იუოს, ამოიღე ჭ მიეცე ჩქარა!

— მივცემ ჭ ჩქარა წავიღეთ აქედანა! უსვინიდი-სოები, ის სომ არა სჯერათ, ფულს რომ მასდევინებენ, ბელიარდის ქვეშაც უნდა ამოვესვეთ, ანობდა დიმიტრიცკი ჭ თან ფულს იღებდა.

— მე სომ დანაშაული არა მაქქს?

— შენ რათ გექნება დანაშაული, რომ არ იცოდი თამაშობის საქმე. ქალაღდის თამაშობა სომ არ არის, რომ გვერდით მომიჯღე.

— ას, იმედი მაქქს ქალაღდს არა თამაშობ.

— ვინ გითხრა, ვთამაშობ კიდევ ჭ ძალიანაც მიუვარს.

— არა ჩემო საუჭარელო, არა მჯერა, შენ ჰოეტი ხარ, გამოჩენილი ლიტერატორი, ტევილათ დროს ქალაღდის თამაშობაში არ დაჰკარგავ.

— არა, არა, სიტეუხაც აღარ მითხრა ლიტერატურაზედ, ჰოეტობა რას მიქვიან; მე შენ გიკრძალავ ჰოეზიასეღ აღარა თქქარა.

— რათაო, ჩემო მეგობარო?

— რათაო ჭ, ისე. — უმიხესოთ გიკრძალავ.

— ეგ საშინლებაა! მაშ არ უნდა მითხრა?

— რომ გითხრა, მიხუსიცი უნდა აგისხნა, მიხუსი რომ არა მაქუს, აბა რა გითხრა.

— არ შესძის!

— მაღლობა ღმერთს რომ არ კესძის.

— აგრეთი გამოჩენილი მწერალი ვინა ზე ვინ ლიტერატურის წინააღმდეგობა. . .

— გამოჩენილიო? მე? ტყვილად ვაგიგონია? აბა რა წაგიკითხავს ჩემის თხზულებითგან?

— ახ, ჭო, ბეგრისგან ბეგრი, აბა ვინ მოსთვლის სასელებსა. . .

— ჭო, რასაკვირველია მწერლების თხზულებაების სასელების მოგონება მნელია, ამისათვის რომ ყოველ-თვის იმათ თავის თხზულებისათვის, განივრული სასე-ლი დაურქმევიათ. არა, შენ ის მითხარ, ჩემის ზოემით-გან არა ვახსოვსრა?

— შენ ისეთის კილოთი მეღაპარაკები, რომ ლიტერატურასეღ ლაპარაკი კეჯავრება, ამისათვის მეტს მეც არაფერს კეტევი.

— კესძის ჩემო სულიკო, მიხუსი თავის-თავადვე გამოჩნდა, შენ ჩემი თხზულება არ წაგიკითხავს, ამისა-თვის რომ მე ჩემს დღეში არაფერი არა დამიწერიარა.

— ახ, თავი დავანებოთ ღუთის კულისათვის ლიტერატურასეღ ლაპარაკსა!

— ეგ ძრეულ კარგი! ეგ უკეთესი, რომ ორივეს გვეჯავრება! გაემკსავრდეთ, გაემკსავრდეთ ჩუწნს გზასედ, თორემ შორი გზა გვაქუს.

კიევის ქალაქამდინ ჩუწნს განარულს გპირებს, შესანიშნავი არა გადასედიათრა. კიევში ჩამოსტენენ ისინი ერთის ურის ტრანსტირში, იქ თავისუფლად სუნთქავდა დიმიტრიცკი, როგორც თავის სასლში მისული თითქოსო. იმას არაფინ ჰქევანდა ქვეყანასედ, მსოლოდ სალომეიას მეტი, რომელიცა ეჭირა ბრჭყალებს ქვეშ, მაგრამ ისიც ისეთი გასდელი იყო, ისეთის ქცევისა, როგორც განათლებული ზ კარგად გასრდელი, რომ გზასედ ძრეულ მობესრდა დიმიტრიცკის, იჭიმებოდა, იშმორებოდა ზ სშირად ამთქნარებოდა.

— ფუ! რა ბარგად გავისადე ჩემ ჭირად, ანობოდა დიმიტრიცკი ზ თან იშმორებოდა.

— სომ არ დაილალე ჩემო მეგობარო? ეუბნებოდა ნაზის სმით სალომეია.

— დავილალე ჩემო სულიკო, სულ დამამტვრივა ეკიპაჟმა.

— ფუ! აქ უნდა დავისვენო! შენ მინამ აქაურობას დალაგებდე, მე წავალ სასლის დასაჭერად ქირითა, ამისათვის რომ, მართლად ზ, არ ვარცა ტრანსტირში დგომა.

— შენ ეოველთუს გვიანა სდები ჩემთან თანახმა,

ან შენ რათ მიდიხარ, მე მარტო როგორ გავსძლო, სხუა გავსაზნე ვინმე.

— მართლა, კარგა რამ მომაგონე, ზოვარიც უნდა დავიჭირო, რომ ფრანცისული საჭმელები გამიკვთოს.

— ოჰ, მართლა ბ, ვერ მიჭამია ტრანსტირში გაკეთებული საჭმელები.

— ვიცი, ვიცი; მე ვსედავდი რომ ჩემის სათრი-სათჯსა სჭამდი. მე ვეცდები რომ შენი ცნოვრება სამო-თხედ გადავაქციო. მშვიდობით ჩემო ანკელოზო, ერთ მინუტს.

ერთი მინუტიც გავიდა, საათიც, შუა-ღამეც შეი-ქნა, რომ დიმიტრიცკი ჯერ კიდევ ვერ მოვიდა. სალო-მეია გულ-შეწუსებული იჯდა. ტრანსტირის მოსამსახურ-რები აქეთ იქით გავსაზნა მოსამებნელად, ურბები, თუ იმათი გოგოები; მერე ეს ურბები ისეთნი ხალხნი არიან, რომ დაუძალავი არა დარჩებათ რა, მაშინათვე იზოვნინან, იმათაც იზოვნეს, დიმიტრიცკი, ვიღაცა ბ სადღაც კომპანიაში ქეიფს ეწეოდა ბ რომ ნახა ამას დაემბდნენ, შემოუკვირა.

— დაძეკარგენით აქედან თქუტუნ ურბებო, თორემ ცხვირ-ზირს დაგამტვრევთ. კესმით!

შეუტევდა, კალანძღავდა, მაგრამ ფულს კი აჩუქებ-და, რომ სალომეიასთჯს ეთქვათ ოღონდა, ბატონი ვერ ვიზოვნეთო. ვინც მოვიდნენ გავსაზნილები, ვეულამ ის



უთხრეს რომ ვერ ვინაოვნეთო, ბოლოს შუა-ღამე რომ გადავიდა, მოვიდა მეათე კაცსავნილი ურია ჭ უთხრა სალომეიას, რომ თქუწნი ქმარია თუ ვილაცა, გრაფ ჩერნომსკისთან არის ვასშმათ ჭ ახლავე მოვაო.

სალომეია დამშვიდდა, მაგრამ ეს ვასშამიც კაცქელდა, ამისათვის რომ დიმიტრიცკი მაშინ მოვიდა, როდესაც ცინკარმა დილით თავი ამოყო.

— ჰო ჩემო სულიკო, აქ მე ვინაოვნე მრთელი ჩემი მცნობების ჰოლკი, გრაფმა ჩერნომსკიმ, ვასშმათ მიმიზატყა ჭ მთხოვა ქალაღდის თამაშობა. კარათ იცი უარის თქმა უსრდელობაა! მაგრამ კარგა-რამ მომაგონდა, უირიში ერთს ძვირ-ფას მამულსა ვეიდულობ, სამოთხეა სწორეთ! ჩინებული მამულია! მარტო თხილი იუიღება ოთხი ათასის. თუმნისა წელიწადში, ღვინის ჭ სსჷა ხილის გარდა; ახელსინს, ლიმონს, ანანასებს ჭ ამ გვარებ რაღაცაებს არ ვანბობ, ეს იქით იყოს. მსათ სასასლე ვაკეთებული, მებილებით ვაწუობილი. ზედ ზღვის ჰირსედა.

— ახ, ეგ რა სასიამოვნო რამ მითხარ!

— შემთხვევით ჩავიგდე ასე იაფათ; ბეი კიდეც მივეცი, ხუთასი თუმანი.

— სულ როგორ გაურიგდი?

— ერთს მილიონს.

— ერთს მილიონს! ოჰ, მერე ეგ ფული საიდან

მიუცუთ. მე ათი ათასი თუმნის მეტი რომ არა მაქვს.

— რას ანობ ჩემო სულიკო. შენ არ იცი ათი ათასი თუმანი ნაღდი ფული რას ნიშნავს ჩემისთანა გონიერი კაცისათვის. აქ ჭკუა ზ სერსი უნდა. ეგეც ისე არის, როგორც რომ ათი ათასის კაცით, ჭკვიანმა ზ გამოცდილმა გენერალმა დაამარცხოს მილლიონი მტრის ჯარი.

— ახ, ჩემო მეგობარო, როგორ ზოეტურადა სჯი.

— არა, ღუთის გულისათვის, ზოესიაზე ნურას იტყვი; სომ იცი არ მიუვარს წინააღმდეგობა. მაგრამ ახლა ლაზარაკის დრო აღარ არის, უოველთვს საქმის გაკეთება დილითა სჯობია, მინამ საღამოზედ... უფ, რა დამათვრეს წუხელის უირიმის უურმნის შანანცვითა, რომელიცა ჩუწნს მამულში დაუეენებიათ. ახლა კი დროა დავიძინო, თორემ კისერი მწუდება, ღამე მშვიდობისა!

სასლის მებნას მთელი ერთი კვირა სდევნა დიმიტრიცკი; ამ დროს განმავლობაში, ბევრი ვილაცები მოდიოდნენ ვიზიტზედ დიმიტრიცკისთან, რომელიცა გააცნობდა სოლმე სალომეიას, ზ ეტყოდა, რომ ისინი იუზნენ კიევის გუბერნიის მებატონეები. სალომეია ზეტროვნას არ მოსწონდა იმათი ქცევა, რადგანც თავიანთ თავს ბევრს თავისუფლებას აძლევდნენ ზ დიდად სწუს-

და, რომ დიმიტრიცკი სახლში ამისთანა უსრდელს ხალხს ატარებდა.

— მე მიკვირს, თუ რამ გაფიქრებინა, ამისთანა სამაგელის ხალხის გაცნობება. უთხრა დიმიტრიცკის სალომეიამ.

— აქ ატრეტი ჩვეულება არის, ჩემო სულიკო. უნდა შეეჩვიო, როგორ იქნება; მაგრამ ესენი სულ სულელნი არიან, მე შენ გაგაცნობებ, კარგად გასდილს ჯ განათლებულს კაცს, გრავს ჩერნომსკის.

— თუ გიუვარდე, არა ვის გაცნობება ჩემთვის საჭირო არ არის. მე მხოლოდ მინდინარ შენ, სხუა საჭირო არავინ არის!

— ფუ, ეს რა ბარგი ავიკიდე! სთქუა თავისთვის დიმიტრიცკი.

— ნაცვლად იმისა რომ მოუგდო, ჩემს ალერსიანს ღაპარაკს უური, შენ თითქოსო შემომწუხერი . . . ეკ მე მკლავს!

— არ შეიძლება, საუქარელო! შენ სულ ის გინდა, შენ სურვილსედ იუოს.

— რა მინდა აბა ჩემს სურვილსედ? მხოლოდ ამასა გთხოვ, არავის გაცნობა ჩემთვის საჭირო არ არის.

— მეც კაცი მქვიან, მცნობები ბუანან, კელს სომ არ ავიღებ იმათსედ. აბა, ავდგეო ჯ წავიდეთ ჩუ-

ცნს ახალს მამულში, უირიმში, თუ კი მცნობები არაფინ გვეყოლებიან, სამს ხალხში, აბა რა ვიქნებით. სულ სომ თხილს არა ვჭამთ.

— ჩუცნა გვაქუს ღონის-ძიება, ათი ათასი თუ-მანი თუ რიგიანათ მოვიქცევით, დიდხანს გვეყოფა, თითქმის სიკუდილამდინ.

— ერთი მითხარი ღუთის გულისათჳს, ათი ათასი თუმანი, დიდი ფულია? მეჩე ისიც უირიმში, სადაცა მარტო ჰირველად რომ კავიძართნეთ ორი მაგდენაც არ გვეყოფა, თათრულად სომ ვერ ვიცხლოვრებთ; მე მკონია არც შენ მოინდომებ ამასა.

— საიღამ მოვიტანოთ მილლიონი? მაგრამ მე არ ვიცი შენ რა შეძლება გაქუს.

— საქმეც ეგ არის რომ არიცი ზ ლაჰარაკობ კი. ვიუიდი ზ ერთ მილლიონსაც მივცემ, მაგრამ უჩერნომსკოთ, უგრანოთ კი არ შემიძლიან. უჭ, აგერ ისიც მოღის, სთქუა დიმიტრიცკიმ რა დანასა ფანჯარიდგან დროშკით მომავალი, თუ ღმერთი გწამს რიგიანათ დასვდი, ალერსიანათ; ჩემი დიდი მეკობარია ზ დიდად მდიდარი შებატონე, მაგისი იმედი მაქვს, რომ მაგისაგან უნდა ვისესსო ის ერთი მილლიონი. ორ სამს წელიწადში მივცემ მაგ ვალსა, მარტო უურმენი იუიდება იქ წელიწადში ათი ათასის თუმნისა.

— ოჭ. გრაფო, დილა მშვიდობისა, მობრძან

კთხოვთ იცნობდეთ ჩემს ცოლსა.

ჩერნივსკი გაჰკვირდა, რა ნახა ქალი, მდიდრულად ჩაცმული ზ მშვენიერი.

— მე არ ვიცოდი თუ ცოლი გეყვანდათ? უთხრა იმან დიმიტრიცკის; ბედნიერი უოფილხართ რომ ამისთანა დიდებული მეუღლე გეოლიათ. მომიტყვევებ ბატონო, რომ ვიასეულით ამისთანა უბრალო ტანისამოსით ზ არა ფრავით... ეს ჩემი ბრალი არ არის.

სალომეია დაჯდა ზ სთხოვა ალერსით იმასაც დაჯდომა. რასაკვირველია, როგორც კარგად გასრდილმა ზ დიდ საზოგადოებაში მეოჟმა ისე დაიწყო ლაპარაკი სალომეიამ, რომ მეტად მიიხიდა ჩერნომსკის გული. სსუათა შორის ბოლოს უთხრა ჩერნომსკიმ:

— მე დღეს, თქვენ ქმარი უნდა წავართოთ.

— მაგითი დიდს კმაყოფილებას მომაკლებთ, უთხრა სალომეიამ, მაგისი განმორება, ჩემთვის სიკუდილია.

— რა ბედნიერი ხართ, მიუბრუნდა ჩერნომსკი დიმიტრიცკის.

— სრული ბედნიერი ვარ, სთქუა დიმიტრიცკიმ, რა გამოართო სალომეიას კელი; ჩვენ ისე ვცხოვრობთ, როგორც ერთ სულ ზ ერთ ხორც.

— დიდი ხანია ჯუარის წერა თქვენნი?

სალომეია გაწითლდა.

— საკმაოდ დიდი ხანია, უპასუხა დიმიტრიცკიმ, გასსომს მე ჭ შენ რომ ვნახეთ ბოლოს ჟამს სავიც-კისას, მერე სომ მოსკოვში წავედი, იქ შემეიყვარდა ჭ შეიქნა მას აქეთ ჩემი.

— ნიშნავს ერთი წელიწადი უოფილა?

— დიას, რვა თვე იქნება.

მწუსარებით სალომეიას ოფლმა დაასხა, უნდოდა ამდგარიყო ჭ მეორეს ოთახში გასულიყო, ამ დროს შემოვიდა ერთი ვილაცა აფიცარი, რომელმაცა შეკრ-თობით წამოიძახა „ახ“ ჭ მივიდა სალომეიასთან, რომელსაცა კელი სთხოვა საკოცნელად. ამ აფიცარს მკი-თსველნი არ იცნობენ, მაგრამ სალომეია ჰეტროვნა კი ძრეულ კარვად იცნობდა, რადგანაც მეგობარი ჭ მცნო-ბი იყო იმისი ქრმისა ჭ სძირად დადიოდა მოსკოვში ერთის სიტყვით ეს აფიცარი იმისი ქრმის ამხანაგი იყო, ერთს ჰოლკში მსახურებდნენ ჭ ხანინადარი იყო იმ ჰოლკისა.

რა ჩვეულებრივ აკოცა სალომეია ჰეტროვნას ხელ-ზედ ჰკითხა.

— როგორა ბძანდება თქუწნი ქმარი? ეს რო-გორ მომხდარა, რომ აქეთ წამოსულხართ?

— რა მიჭირს, ვერ მიუურებთ რომ კარვათა ვარ! მიუგო ჩქარა, კაბედვით დიმიტრიცკიმ.

— როგორ, ფოდორე ჰეტროვი იალიკოვი არ

აწის ამისი ქმარი? უთხრა აფიცარმა შეკრთომით.

— სწორეთ ავრე. მიუგო დიმიტრიცკიმ. მაგრამ ახლა კი მე ვარ.

— როგორ?

— როგორ ღ, ის მოკვდა!

— მოკვდა! ას, ეგ რა მითხარი, უთხრა მწუსარებით კახნახეიმ, მამ ნიშნავს ახლა მამკვდარა, ამისათვის რომ ეს ორი კვირა იქნება რაც იმისაგან წიგნი მივიღე.

ღიას დიდი ხანი არ აწის, ჩუწნი წამოსვლის წინა დღეებში გადაიცვალა. სთქუა დიმიტრიცკიმ რა აირია ჭკუისგან.

— ოჰ. როგორი ვწუსარ! სთქუა კახნახეიმ რა არ იცოდა რა ეთქო, რადგანაც სალომეია ჰეტროვნა ხმას არ იღებდა.

— ღიას, მეც ძალიან ვწუსვარ, მიუგო დიმიტრიცკიმ გულგრილად, რა არის ეგება კელი აელო სტუმარს ამ საგანსე ლაპარაკისაგან, მაგრამ შიშით თვალეებში უეურებდა, ვნახოთ კიდევ რასა მკითხავსო. გრაფი ჩერნომსკიც გაკვირვებით ხან ერთს შესედავდა ხან მეორესა, კახნახეი სრულებით ჭკუისაგან დაიკარგა. რომ აღარ იცოდა გაკვირვებისაგან, თუ რა ეთქო, წამოდგა, ერთი კიდევ აგოცა კელებზედ სალომეიას, გამოეთხოვა ღ რა მიდიოდა ჩეულებრივ, წამოსცდა; კოსოვ ფეო-

დორე ზეტროვისს თქვენს ქმარს ჩემს მაგიერ თავი დაუკრათო.

სალომეიაც ჩუუღს რომ იყო, წამოსცდა მადლობელი ვარო.

სასინადარი ზირღია გავიდა, გრაფ ჩერნომსკიმ ზ დიმიტრიცკიმ განსარსარეს. სალომეიამ ტუჩები დაიკვნიტა ზ გავიდა თავს ლაფ დასსმული მეორეს ოთახში.

— ეს რა ისტორია არის? ჭკითსა ჩერნომსკიმა დიმიტრიცკის.

— ისტორია კი არ არის, ინსტროდუქციაა, მიუგო დიმიტრიცკიმ.

— შევითყუ უფალო რაც შტუკაა აქა! ასე მეგონა მართლს შენი ცოლი არის მეოქი. წავიდეთ, წავიდეთ, ახლა კი დრო არის.

— ამ საათში.

ის შევიდა სალომეიას ზეტროვისას ოთახში. ის წაწოლილიყო მდივანსუდ ზ ზირი წაუფლა ბალიშებში.

— სმინავს! წაიღუღლულა დიმიტრიცკიმ, რა გამოტრიალდა ოთახითგან.

ოჰ, არა! არა სმინავს! სთქუა სალომეიამ, მაგრამ დიმიტრიცკი კიდევ გავიდა.

სალომეიამ ზირველად იგრძნო, რომ მოტყუვდა ზ დაწყო გულ-მხურვალედ ტირილი, მაგრამ ტირილი,



უკადრისად მიანდა. ისა გრმნობდა, რომ დიმიტრიცის ის არ უყვარდა, მაგრამ თავის თავისათვის კი ვერ გაეზუნა ეთქვა, არ უყვარვარო. სალომეია ამხარტავანი იყო ზე შედიდურის გულისა, იქამდის თავი არ დაემდაბლებინა, რომ ეს ეთქვა თავის თავისათვის. სალომეია, მარტო რომ იყო, კარები გაიღო ზე შევიდა ჩერნომსკი.

— მომიტყუეთ ბატონო, უთხრა იმან; რა მებრალლებით, მოვედი გამოცისხნათ როგორმე იმ კაცისაგან, რომელიცა თქუენ დაგლუწავთ.

— რომელი კაცისაგან, უფალო? ჰკითხა ამხარტავანად სალომეიამ.

— იმ კაცისაგან, რომელიცა მოგატყუა, რომ ვითომც უყვარდი; იმ კაცისაგან, რომელიცა არის გარეუნილი ქაღალდის მოთამაშე ზე უსწინიდიხო!

სალომეია ზეტროვნა გაუვითლდა.

— მე რომ თქუენსა გნახეთ, არ შეიძლებოდა არ შეწუხებულყავ, ისეთი მშუენიერი სარ ზე ისეთი ანგელოსი . . . იმ უსწინიდიხომ, რომელიცა დარწმუნებული ვარ არ გიყვარს, ახლა, ამ საათში ერთს ალაგს რაც რამ ებადა სულერთიან წაავო ზე ახლა თქუენსუდ მოდვა საქმე. ვთამაშება თქუენსუდ, რომელიცა დაგაფასეს ას თუმნათ . . . მე ეს საშინელება ვერ ავიტანე, გამოვირბინე თქუენთან ზე გვედრებით იყუნეთ ჩემს მფარველობასა ქვეშე . . .

— დაიკარგე აქედან! შეჭვერიან სალომეია ზეტრო-  
ვნამ ზე აჩვენა კარები. დაიკარგე აქედან, მინამ კაცები-  
სათვის არ დამიძახნია.

ჩერნომსკი გამოვიდა

— როგორც სე, ისე გაშეშებული ზე ზირდია და-  
რჩა სალომეია ზეტროვნა. მრთელი დამე ალაგიდგან  
არ დამრულა, ისე მოუთმენლივ ელოდა დიმიტრიცკის,  
რომ გულის წერომა წამოენთსია იმაზედ . . . ინათლა  
თუ არა, შემოვარდა დიმიტრიცკი, არეულის სასით, გა-  
ვეითლებული ზე განანსლებული. სალომეია შეკრთა.

— ეგ რა ანბავია? ნიკო, ჩემო მეგობარო! ჭკითხა  
სალომეიამ, შეშინებულის სმით.

წინა ოთახითგან შემოისმა ევირილი ზე რა კარე-  
ბი გაულო, სალომეია ზეტროვნამ დაინახა, ის კაცები,  
რომელიც დიმიტრიცკის მოჭყვანდა ვიზიტზედ სალო-  
მეიასთან.

— დაიკარგენით აქედან! დაუევირო დიმიტრიცკიმ,  
რა წამოავლო სკამს კელი.

— ფულები მოგვეცი ზე წავალთ! უთხრა ერთმა  
ვუმუხმა კაცმა, ლოთობისგან ზირის სასუსედ შეცვლი-  
ლმა, რომელიცა წინა დღეს იყო სალომეია ზეტროვ-  
ნასთან ვიზიტზედ ზე დიმიტრიცკიმ მოატყუა, კიევის  
გუბერნიის მდიდარი მებატონე არისო.

— ევარენით მანდ, თქვენ მალეობო! აქ ფესი არ

შემოდგათ! დაუვიინა დიმიტრიცკიმ, რა მიაკეტა კარები. სალომეია, ამ ავასაკებმა, რაც რამ შებადა სულ მომიკეს ქალაღღში! ეს შაიკა შაშენიკის სერნომსკისა არის!... კიდევ გაქვს ფული თუ არა?

— არა, გროშიც აღარა მაქვს, უთხრა სალომეიამ ზ თვალებსუდ სული მიიფარა.

— არაო? მამ გათავდა საქმე. ფული არ არის, დამბახა სომ არის!

ამ სიტუაციაზე, დიმიტრიცკიმ სტაცა კელი დამბახასა, რომელიცა კედელსუდ ეკიდა.

— ნიკო! რას შერები შავას? წაიღე ჩემი ბრილიანტის ნივთები; სულ ერთიან რაც რამ შაბადია!

— მომეცი! სად არის? ჩქარა!

სალომეიამ ამოიღო ჩამადნითგან ყუთი. დიმიტრიცკიმ ვამოსტაცა კელითგან ზ შევარდა მეორეს ოთახში.

სალომეიას შემოესმა სმა: „მომევეით თან, მოგარტვათ თავში თქვენნი ფულები.

იმ დამეს სალომეია ზეტროვნას მოერია ტირილი, კარგად რომ იტირა ზ მოიღალა, გათყნებისას მოუვიდა შილი, როცა კარგათ გათენდა, თვალები გაახილა, ნახა რომ შირ ზ შირ სკამსუდ იჯდა, ტრასტირის ზატრონის ურიის ცოფი განსა.

— სად ვადადისართ ქალბატონო დღეს? ჭკითხა სალომეიას განსამ.

— სად გადაუღივართ? ვინ გადადის? ჭკითხა სალომეიამ.

— თქვენმა ბიჭმა სულერთიან რაც იყო ოთახში წაიღო ჭ სთქვა ბატონი როცა მოვა ქალბატონის წასაუგანად, მაშინ ტრანსტირის ფულს გავისწორდებო, მე აქ შემოველი თქვენთან ჭ თქვენ კი გმინაფთ.

— ღმერთო! ეს რა საქმე მომივიდა! დაივერიო სალომეიამ, ჭ შემოჭკრა კელი-კელსა რა ცდილობდა განსასთან დაემაღა თავისი უბედურებითი მდგომარეობა.

— რასუდ შეშინდით? ჭკითხა განსამ.

სალომეიამ თვალეხედ კელი მიიფარა ჭ არაფერი მიუგო. განსა ზირ ჭ ზირ ფურადღებით უყურებდა სალომეიას ჭ მიხვდა საქმე როგორც იყო.

— მე ძრეულ შებრძლებით ქალბატონო.

სალომეიამ არა უთხრა რა.

— აი, ვიღასიც ფესის ხმა ისმის. უთუოთ ბატონი მოდის.

სალომეიამ მაშინვე შესულა კარებს, მაგრამ დიმიტრიცკი კი არ იყო, ის იყო წერნომსკი.

მომიტყვეთ, რომ გავუღე ჭ მეორეთ გიანსელით, მე წინათვე გავაფთხილეთ, მაგრამ არ დამიჯერეთ. ანლა სულ გამოცხადდა; დიმიტრიცკი აქ აღარ დაბრუნდება... ის გაიქცა საითკენღაც... გავუღავ ჭ გავიმეორებთ ჩემს თხოვნას; თქვენნი ბედი მომანდეთ მე,

იმ კაცს, რომელსაცა შეუძლიან დაუასება თქვენის მშვენიერებისა.

— თავი დამანებეთ უფალო ღმერთის გულისათვის! უთხრა სალომეიამა, მე იმასვე გიძიებ, რაც გუშინ ვითხარი.

— კიდევ ავიტან მაგ შეურაცხებასა, უთხრა ჩერნოვსკი, რა გაუღიმა, მე ვუიქრობ, როდესაც დამშვიდდებით, მაშინ დარწმუნდებით, რომ უნატრონოთ სართუცხოს ქვეყანაში.

იმან ანიშნა განსას, განსა გავიდა მეორეს ოთახში, ჭ თან გაჭევა ჩერნომსკი.

— გაძიებთ საუქარელო, ეცადე როგორმე შენ ჩაგონო ჭ უწიო, რომ დამიჯეროს რასაც ვუხსნები, გეხმის? შენ ჩემგან კარვს საჩუქარს მიიღებ. . . მე ვგქალი ძრიელ მომწონს. რასაც მაგასეუდ დახარჯამ ტრანტირიტგან, ერთს ორად ჩემგან მიიღებ, მე გგონია თანხმა შეიქნეს, აი მინამ ერთი ოქრო შენი კასამჯელო.

— მე რე რაცა მართებს იმას ვინ მამცემს?

— ბევრს არის მოსაცემი?

— ექსნი თუმანი იქნება ამ ერთს კვირაში.

— ოჰ, ეგ ჩემი საქმე არ არის, ეგ დიმიტრიცკის ანგარიშია.

— მე რა ვიცი დიმიტრიცკი სად არის, მე ამას

კი არ გაუშვებ აქედანა ჭ, ეს ფრანცუჟანკა არის თუ ვილაცა, მინამ ფულს არ მამცემს.

— განა ფრანცუჟანკა არის? ჰა, ჯანი გავარდეს ნასეგარს მოკცემ, ოღონდა საქმე გავარივე.

— არა, ნასეგარი რათ მინდა, მინამ სულ არ ავიღებ, არ შეიძლება.

— კარგია ერთი.

ჩერნომსკი წავიდა ჭ განსა შევიდა სალომეიასთან.

— ოჰ, რა შებრალები ქალბატონო, დაიწყო განსამ, მაგრამ ნუ ტირით, ვერეთს ლამაზს ტირილი არ მოუსდება, მე ასლავუ ვიცი, ბედნიერი იქნებით, თუ დაუხსლოვდებით ბატონს ჩერნომსკის, ის ისეთი დიდი კაცია, მდიდარი . . .

— ნუ შელახარაკები იმაზედ! უთხრა სალომეიამ ბმანებითის სმით.

— ის ბატონი, რომელმაცა აქ მოგიყვანა, გაიქცა ჭ არ გამისწორდა ფულებს, აბა ასლა ვინ მამცემს; ბატონი ჩერნომსკი მზირდება, მე გავისწორდებიო; ჭ რაც გიბმანოს ქალბატონმა ვეველაფერი მიაჩთვინურას მოაკლებო.

— ოხ, ღმერთო! ეს რა უბედურება შეწია, ეს რა შერცხვენაში ჩავარდი! დაიფირო სალომეია ჰეტროუნამ ფრანცუჟანკას ენაზედ: მე შენ გიმეორებ, ნუ მიბედავ, ამ უსვინიღისოზე ლახარაკსა. აი შენი ფული . . .

ამ სიტუვასეჲდ, უნდოდა გამოემშრო თითიღვან ბრილიანტის ბეჭედი, მაგრამ რომ დაისუდა, ნახა აღარა ქონდა, მაშინ მოაგონდა, რომ დიმიტრიცკომ გამოართო, როდესაც თითსეჲდ იშინჯაჲდა, ვნახოთ მე გამამადგება თუ არაო.

— რაო ქალბატონო, ბეჭედიც მოგპარეს?

სალომეიას სული შეეხუთა მწუსარებისაგან.

— შარშან ერთმა აფიცარმა მოიყვანა, კიდეჲ, გერე შენსავით ვიღაცა ქალი აქ, მერე თითონ გაიქცა. ის კი შენსავით ლამაზი არ იყო. ერთი თვე შევანდა სხსელში, მინამ ჩემს ფულს გამისწორებოდა.

გაქვავებულავით იჯდა სალომეია, ის უუურებდა გაშტერებით განსახსა, მაგრამ კი ვერა ხედავდა დიდსანს ელანარაკებოდა განსა, გარეუნილების სარგებლობასეჲდ, რომ ეკები როგორმე ეცდინა, მაგრამ იმას სრულავით არა ესმოდა რა.

ამ დროს ვიღაცა მკსავრი მოადგა ტრანსტიონსა. განსა გაიქცა შეეტყო ვინ იყო, სალომეია დარჩა მარტო. ამ საშინელს წამში, ცრემლები გადმოსცვივდა სალომეიას, ზ ბოლოს ჰკითხავდა თავის მწუსარე თავის: ახლა რასა იქ ჩემო თავო? შენი ცხოვრების კვა წიბილწა, ახლა რიღითი ზ რის იმედით უნდა მოატყუო შენი თავი? ახლა ზომ იცნობ შენს თავსა, თუ ვინა სარ? ამპარტავნად თავი რომ მოგქონდა, ის ამპარტავ-

ნება აღარ შეგიძლიან! ეველასუდ დაბალი თუთონ შენა  
სარ!

მკსავერი, რომელსაცა განსა მიეგება ზ რომელიცა  
ტრასტირს მიაღება, იყო ჩუქნი მცნობი ფილიპე სავი-  
ნი, რომელიცა მოვიდა გუვერნანტკის მოსამებნელად,  
თავისის შეილებისათუხ, მადამ ვოჟიოს მაცვიერ, რომ-  
ლის ანბავი ადვწერეთ, ამის წინა თავში.

— ოჰ, სახლის ბატონო, გამარჯობა ჩემო სუ-  
ლო! უთხრა იმან, რა გამოყო კოლლიასკითვან თავი  
ზ გამოდირდა ორის ლაქის შემწობით: აი, განგებ  
შენთანა ვსდები, რომ ვიცი ჩემთუხ ეოველთუხ ოთასე-  
ბი გაქუხ შენასული.

— გასლავო ბატონო, გასლავო, მობბანდით!

განსამ წაიფანა ზირ ზ ზირ ფილიპე სავინი იმ  
ნომრისაკენ, საიდანაც გაიქცა დიმიტრიცკი ზ დაუარა  
ორიოდე ჩულფაღასი, რომელთ რიცხუმიანცა იყო  
სალომეია ზეტროვნაცა.

— მობბანდით აქეთ, ეს ეველასუდ საუკეთესო ნომე-  
რია, ეს არის დღეს დაცალეს.

— ეჰ, აქ ვიღაცა ქალია, უთხრა ფილიპე სავი-  
ნი, რა შეისედა ოთასში.

— ეს ბატონო ფრანცუჟანკა გასლავო, ამას სსუა  
ნომერში გადავიფან. მომიტევეთ ქალბატონო, ვთხოვსთ  
აქედან გამოხვიდეთ, ეს ბატონი უნდა დადგეს ამ ნო-  
მერში.



— ეს რა ანბავია? სად წავიდე? ჭკითხა სალო-  
მეამ, რა ააენთო მეტის სიანსსლისაგან ჭ რა მოეწია  
მედიდური გრძნობა.

— რას შერები, რასა? როგორ შეიძლება რომ  
ჩემი გულისათვის აწუსებ, უთხრა ფილიპე სავინმა; მო-  
მიტვევთ ბატონო, რომ შეგაწუსათ ამ დედაკაცმა, მე  
მაგასედ სრულებით თანახმა არ ვაგვდები, ღუთის  
გულისათვის ნუ შესწუსდებით. სსჟა ოთახი მთმეცი,  
მიუბრუნდა განსას.

ფილიპე სავინმა რა თავი დაუკრა გამოვიდა კარეთ.

— რა მშვენური ქალია! არა შენ სულელო რო-  
გორ ვაბედე იმისი შეწუსება? ვინ არის ევ? ჭკითხა.

— შეონია ფრანცუჟანკა გასლავო.

— იქნება მართლა? ახ, ევ რა სასიამოვნო რამ  
მითხარ. მადამა სომ არ არის? არ დამიდგება ჩემი  
შვილებისათვის გუვერნანტკათ? მერე მაგისათვის მოფსულ-  
ვარ აქა, რომ გუვერნანტკა ვიშოვნო? მალიან მეჭირე-  
ბა მადამას დაჭერა.

— ევ ქალი ვილამაც მოიყვანა ჭ თავი დაანება.

— იქნება მართლა! ახ შეჩვენებული, თავი დაანე-  
ბოს კაცმა ამისთანა მშვენურსა. ვინ იყო ის, ამისი  
ქმარი იყო, თუ . . . .

— მე რა ვიცი ქმარი იყო, თუ სსჟა.

— რა ჩემი საქმეა ვინც უნდა ეოფილიყო, ვინ

არ არის ცოდვილი; ოღონდა ფრანცუშულს კარგათა ლაზარაკობდეს, დიდის კმაყოფილებით ავიყვან, კარგ ფას მივცემდი, მაგისტანა მადამაში. მიდი, მიდი ერთი ჭკითსე, შეიძლება თუ არა გუვერნანტკათ დამიდგეს, კარგს ფას მივცემ ზე ვეულაფერი მსათ ექნება, ეკინაჟიც საკუთარი ექნება.

— მე ვეტევი ვეელას, მაგრამ ფული რომ მართებს, იმასაც თქვენ გამისწორდებით.

— რასაკვირველია, იმასაც გავისწორდები, ისე მომეწონა.

განსა შევიდა სალომეიასთან.

— აი, ქალბატონო, უთხრა იმან, როგორი ბედნიერი ხართ, ეს ბატონი ახლა რომ მოვიდა მადამად კიჟკით, რომ ფრანცუშული ანწავლათ იმის შეილებს.

სალომეია შეერთა მწუსარებით.

— ჯამაგირი რაცა გსურთ, ვეელას გაძღვეთ, თქვენ იმას ძალიან მოეწონეთ... ეს ისეთი ბედნიერება არის თქვენთვის... რაც ფული გმართებთ ჩემი, იმასაც ის ბატონი მაძღვეს.

— მაგას ურჩის გოგო მეუბნება ზე მიბედავს! წამოსთქვა სალომეიამ შედიდურად. ოჰ, ღმერთო, ღმერთო!

— რა არის, რომ ურჩის გოგო ვარ ქალბატონო, ზატოხსანი მანცა ვარ! მე ურჩის გოგო ვარ,

მაგრამ შენ კი ფრანცუჟანკა ხარ! გნებავთ, კარგი, არა, თქუენი ნებაა! მე თქუენთვის ვცდილობ და თქუენ კი ამპარტყენებთ. არ ვიცი საიდან რას იშოვნით რომ გამისწორდეთ და დღეის ამას იქით სვით და ჭამოთ. სწორე გითხრა ამ ოთხს ვეღარ გაქირავებ. აბა საიდან მომცემ, ჯერ ისიც ვერ მოგიცია, რაც თქუენსუდ არის.

— გავალ, გავალ, ვეიროდა სალომეია,

ვინ გაგიშვებს—რომ გასვიდე, უთხრა განსამ, ჯერ გამისწორდით და მე რე საცა გნებავთ მიბძანდით. სწორე გითხრა თუ არ მომცემთ, ზოლიციაში ჩაგასმევენებ. ისიც რა ვიცი, ვინა ხარო.

— სად არის ის უფლი, ვისაც მადამად უნდევარ, დაუძახე აქა! უთხრა სალომეიამ, რომ ნახა თავისი საქმე ცუდს მდგომარეობაში იყო.

— თქუენ ტყვილათა სჯავრობით ჩემსუდ ქალბატონო; მე თქუენთვის ვცდილობ, ჯავრობა არ გამოკადება ჩემთან, უთხრა განსამ რა გამოდიოდა სალომეიასაგან.

— ოჰ, ღმერთო, რა მეშველება, რა იქნა! სთქუა სალომეიამ და ზირქვე დაეცა მდივანსუდ.

ცრემლები სელახლა გადმოსცვიფდნენ თვალებიდგან; რამჟამს შემოესმა სალომეიას ფილიპე სავიჩის ფენის სმა, ფიცხლავე წამიღვა და დაჯდა მდივანსუდ.

ფილიპე სავიჩი შევიდა; იმისი მსცო სასე, მოცო-  
ცხლდა ზე ვაჟმაწვილდა; ამასთანავე იწყო ღიმილი.

— მე მქონდა ბედნიერება ზე ვოსოვეთ, მაღამ . . .  
დაიწყო იმან.

— მოწყალეო ველმწიფეო, მე არ შემიძლიან ვიამ-  
ბოთ ჩემი უბედურება, მაგრამ დიდის ვედრებითა ვო-  
სოვ დამკსმარნეთ, ვამომისსნათ შერცხუენისაგან ზე მის-  
ცეთ ამ ურჩის ვოვოს ის ფული, რამდენსაც ითხოვს;  
აჟას ვარდა მამცეთ თქუწნს სახლში ვრთი ვუთხე,  
მინამ ჩემი ნათესავები ფულს ვამომივსაენიღენ.

— ინებეთ თქუწნი ჭირიმეთ, რათა სწუსდებით  
ფულისათჳს. მე თქუწნ მოვართმეეთ ჩემს სახლს, ვეი-  
ნაჟს ზე ვამავირს რამდენიცა ვსურთ.

სალომეიას თავის მოჟვარება ველასლად დაუტრი-  
აღდა. ის შეკრთა.

— მე, მეავს, სწორეთ მოვასსენოთ, თხუთმეტის  
წლის შვილი, ვრთიც ქალი, ათის წლისა, ვანავრძელა  
ფილიპე სავიჩმა, მსოლოდ მსურს იმათ ფრანცუზული  
ასწავლოთ. ჩემი ცოლი ძრიელ ვეთილი დედაკაცია,  
მაგრამ ავათმეოფობს. მე მრთელს ჩემს სახლს, სულ  
თქუწნ ჩავბაბრებთ, როგორც . . . როგორც სახლის  
ნატრონსა, თუ რომ ისურვებთ . . . თუ რომ შეწუსდ-  
ებით ზე, ვე თქუწნი ნებაა . . . ფული დავჭირდებათ, თუ  
ვეინაჟი, თუ ტუალეტისათჳს რამ, ვეელა მსათ მოგვრ-

თმევათ.

სალომეია ეურს უგდებდა ამაებს ჩაფიქრებით.

— მე თანახმა ვარ. სთქუა ბოლოს გაბედვით.

— დიდად, დიდად სასიამოვნოა, მე ბედნიერი ვარ რომ ეს ასე მოხდა, სთქუა ფილიპე საფინმა, რა მივიდა სალომეიასთან ზე აკოცა გელსედ. ნება მიბოძეთ შვეიტყო, თუ რა გქვიანთ?

— ჩემი სასული არის... სალომეია.

— სალომეია! რა ჩინებული სასულია. ფრანციის რომლის კუთხიღვანა ხართ?

— მე? ... ჰარიეიღვან.

— დღეს ნება მიბოძეთ, გავათაო თუ რამ სსუა საქმე მაქვს ზე სუალ წავიდეთ ჩემს სოფელში. უმოჩილესად გთხოვ უბნანოთ მოხამსასურეს, რაცა გნებათ მოგართონ.

— ჩემთვის საჭირო არის დავრჩე აქ რამდენიმე დღე,

— როგორც თქუწნი ნებაა. უთხრა სალომეიას ფილიპე საფინმა, რა კიდევ აკოცა სელსედ, ზე გამოვიდა გარეთ.

სალომეია როდესაც მარტო დარჩა, მიეცა ღრმა ფიქრს ზე წარმოუდგა განვლილი ბედნიერება ქმრის ხელში, ახლანდელი უბედურება ზე მომავალი, თუ რა იქნებოდა. ურის გოგო ძალძალ შემორბოდა ზე კით-

სულობდა, სომ არა სურდა, მოერთმია.

მესამეს დღეს ფილიპე სავინმა სთხოვა წასვლა, მაგრამ ჰასუსის მიცემას კიდევ ვერა ჰბედავდა ჭეუბნებოდა რომ ცოტა შეუძლოთ იყო, იმას იმედი ჰქონდა, კიდევ დაბრუნდებოდა დიმიტრიცვი, დაიხოქებდა იმის წინ ჭ მოტყუებას მოითხოვდა. იმას ასე ეგონა, ფული რომ წავაგო ჭ ბრილიანტები დასტყუვა, იმისი რცხვენობა დაბრუნებულყო, იმას ის იმედი ჰქონდა, სიუჟარული კიდევ მოაბრუნებდა.

— ოო! მე მხათა ვარ, ვიცხოვრო იმასთან ქოსში ჭ კელსაქმით შევინახო ის. ფიქრობდა სალომეია.

მრთელი ერთი კვირა ვერ ბედავდა წასვლას; ბოლოს იძულებდა დასთრგუნა სიუჟარული, იმედი ჭ ფილიპე სავინმა, თავისის კელით ჩასვა ეკიზაქში, რომლით გააქროლა თავის სოფლისაკენ.

ფილიპე სავინი, რასაკვირველია გზაზე ცდილობდა ესწავლა ფრანცუსული. ის ჰკითხავდა, თუ როგორ უნდა ეთქვა ფრანცუსულად: რას მიბძახებთ; რა გნებავთ, გამარჯვება ჭ ამ გვარები.

სალომეია ჰეტროვნას რომ მეტი გზა აღარა ჰქონდა, რა უნდა ექნა, უნდა ჰასუსი მიეცა.

— ჰე! შენისთანა ბებერი სულელი, უნდა უფრო გასასულელოს გაცმა, ჰფიქრობდა სალომეია, იმ იმედ-

ბესედი, რომელიცა ჭქონდა ფილიპე სავიის. — მოაშვიე ბებერი! ეს სასაცილო უნდა იყოს! ეს შემთხვევა, ცოტა მწუსარებას დამიკარგავს... კარგი! მე თქვენს გასწავლით კაცთა, დედაკაცის ეადრისა!

— რა მშვენიერი ენაა ფრანცუზული ენა სალომეია ზეტროენა, რა ლამაზი ზე სასიამოვნო! მერე თქვენს რა ჩინებულად ლაპარაკობთ! მე შევანდა ერთი ბებერი ფრანცუჟანკა, — ფრანცუჟანკა იყო თუ არა ღმერთმა იცის, გამოთქმა სამაგელი ჭქონდა, ვინ იცის რომელი ფრანციის სოფლითგან იყო. ახლა ვხედავ, თუ რა განსხვავება არის, თქვენს ზე იმაში. ის სწორეთ ზირუტევი იყო. გეფიცებით ზირველად ვხედავ ნამდვილს ფრანცუჟანკას თქვენში; ჩვენს რუსეთის ქალები ვის ევადრებიან, რა სახსენებელნი არიან!

სალომეიას, ისეთი უნებლიეთი სიცილი მოუვიდა, რომ გაისარსარა.

— როგორ უნდა ფრანცუზულად, მაგალითად: რა ლამაზი ხარ?

— Ge ruis un rieux fon.

— ეს სვი ზინ ვე ფუ. რა მშვენიერი სიტყვებია! ჰა? ეს როგორღა უნდა: მე მიუვარსარ?

— Ge ruis une bete à corne.

— ეს სვი ზონ ბეტაკორ, მადამ, ასეა?

— სრულებით აგრე არის!

— ხედავ, როგორი ვისწავლე ფრანციუსული!

— აბა ჩემო ლიუბოვა იაკოვლევნა, უთხრა ფილიპე საუნიჩმა თავის ცოლს, რა მიიუვნან თავის სასლში, სალომეია, — ისეთი ფრანცუჟანკა დაუჭირე ემაწვილებისათვის, რომ საკვირველია! ეს იმ ჰრანკა მადამ ვოჟეს კი არა ჰგავს, ესეც ისე როგორღაც შემთხვევით მოხდა, თორემ ბევრს გაუჭირდება ამისთანის შოვნა.

კეთილის გულის ზატრონმა ზე გულწრფელმა ლიუბოვა იაკოვლევნამ რა შესედა ფრანცუჟანკას, იმის დიდებულს შესედულობას, დიდკაცურს მისრა-მოხრას, გეჰევირდა იმან იგრძნო მაშინვე, რომ იმასთან ისე სჩნდა, როგორც ერთი უბრალო ბუხი. არ იცოდა როგორ მოქცეოდა ზე როგორ ელაზარანა იმასთან.

— მომიტყვეთ, უთხრა იმან რა წამოუდგა ფესხედ, მე არ ვიცი ფრანცუხლი.

— მე რუსულიც კარგად ვიცი, მიუგო სალომეიამ, რა მიუჯდა მდივანხედ გვერდს.

მართელი სასლობა გოგო ბიჭებიანათ ისე უუწრებდნენ სალომეიას, როგორც ვიხიტხედ მისულს ერთს დიდს ვისმეს ჰრინცესას. მხოლოდ ფილიპე საუნიჩს არ ეშინოდა ზე არ ეკრძალებოდა იმის მედიდურობისა; ვინც იმის კელეკვითნი იუვნენ, იმათი არ ეშინოდა, იმას მხოლოდ იმათი ვრიდებოდა ზე ეკრძალებოდა, რომელნიც იმასედ მადლა იდგნენ, არც



გიორგი შეშინებულა, რომელსაცა სალომეამ თვალი მოაფლო სიამოვნებით. მამამ შეილი გააცნო, როგორც მოწაფე.

მინამ ფილიპე სავიჩი ოთახს მოუძახდებდა, ლიუბოვა იაკოვლევნამ გაბედა ზ ჰკითხა რაღაც რაღაცაები; ბოლოს მეტად იამა, როდესაც სალომეია შევიდა თავის ოთახში.

— ეგ რა გიქნია ფილიპე სავიჩ, სად გიშოვნია მაგისტანა დიდებული ფრანცუჟანკა? ეგ ისეთი დიდი ვინმეა, რომ საშინელებაა!

— განა რომ აგრეა? მეც მაგისტანა მინდოდა აი შეილებისათვის. მაშ უბრალოს ვისმეს სომ არ დაუჭერდი. სთქუა ფილიპე სავიჩმა, ეგ უბრალო ფრანცუჟანკებისა კი არ არის; ეგ არის ნამდვილი ფრანცუჟანკა, რომელსაცა ძლივს მოულობენ კნეინები ზ გრუფები.

ლიუბოვნა იაკოვლევნას არ იცოდა რა ეთქო ზ ნმა გაიკმიდა.

ერთს კვირას არ გაუვლია, სალომეია ჰეტროვნა შეიქნა სასლში ეველახედ ჰირველი. ფილიპე სავიჩისგან სასტიკი ბძანება იყო სასლში მიცემული, რომ ეველა დაკრძალული ეოფილიყო ზ ბრძანების მორჩილი სალომეისა. თუ რომ სალომეია ჰეტროვნა მოითხოვდა წუალსა, ვინც შეესწრობოდა იქ, ეველანი

უნდა გაქცეულიყვნენ წელის მოსატანათ, სხუანი უნდა ფრთხილათ ეოფილიყვნენ თუ კიდევ რას ინებებდა. მინამ სალომეია იქ შემოვიდოდა, მოსამსახურები მიშველა გელებით ემსახურებოდნენ ბატონებს, ერთხელ რომ სთქუა სალომეიამ, რა საზისღარი გელები აქუსთო, ვის შეეძლო ასლა ტიტველა გელებით სალომეიასთან შესულიყო, ფილიპე სავიჩისაგან სასტიკი ბძანება იყო, ვისაც ფერხატკები ჰქონდათ, უნდა ეოველდე სცმოდათ ჭ ვისაც არა, სალფეტკებში მანც გაესვიათ გელები ჭ ისე ემსახურნათ; მინამ სალომეია შემოვიდოდა სასლში, დიღითგან მოკიდებული შუაღამედინ მოსამსახურებისაგან ეაენი იყო, ერთხელ სალომეიამ სთქუა, ეს ამდენს რათ ეაენებენო ჭ, მშვიდობით! იმ დღითგან ისეთი სიჩუმე შეიქნა, რომ თითქოს სასლები ცარიელიაო. ვის შეეძლო მადლა ხმით ელაზარაენა, მაშინვე ფილიპე სავიჩი უბძანებდა ჭ ზირში სალფეტკს დაუცომდნენ; სალომეიას ეძინა შუადღემდინ, ზოგჯერ იძინებდა სადილს უკანაც, ეველამ იცოდნენ სასლში დიდით ჰატარამდინ, რომ სალომეია ჰეტროგნა განისვენებდა. იმის ოთახის წინ, გავლა ვერავის შეეძლო, ეველანი დადიოდნენ ფესის წვერებსედ, დიდის სიფრთხილით.

თუ რომ სადილსედ საჭმელს მოიტანდნენ ჭ სალომეია ჰეტროგნას არ მოეწონებოდა, მაშინ თითონ

ზოგან, ტაფაში ვარდასავით მოსწომდნენ ისეთს დღეს დაუენებდა ფილიპე სავიჩი; თუ რომ ტანთ საცვალს სალომეია დაიწუნებდა, კარგათ არ არის გარეცხილი და დაუთუებულიო, მაშინ თითონ ზრანკას გარეცხამდნენ და ცხელს უთოს წაუსომდნენ; თუ რომ სალომეია სარკეში რომ ჩაიხედავდა და ცუდათ ეჩვენებოდა თავი დავარცხნილი, მოსამსახურე გოგოს თმებს აგლეჯდნენ.

ფილიპე სავიჩის ცოლი, ღიუბოვა იაკოვლეუნა თითქო იმ ოჯახში აღარ არსებობდა, თითქოს აღარ იყო; იმას აღარავინ რას ჰკითხავდა, იმისი საქმე მხოლოდ ეს იყო ზრანკისაგან ჩათვლით მიეღო სარეცხი და თვლით ჩაებარებინა. მინამ სალომეია შემოვიდოდა, რასაც საჭმელს ცოლი გააკეთებინებდა, ქმარი არას კითხულობდა, თითონაც იმასა სჭამდა და ყველაფერი მოსწონდა, რაკი ის შემოვიდა, ფილიპე სავიჩისაგან მოსვენება აღარ იყო, ყოველთჳს ცოლს უტევდა, კარგი საჭმელები არ იყო დღესაო; ბოლოს ისე მივარდა საქმე რომ ზოგარიც იმის განკარგულებას ქვეშ ჩავარდა.

ყველანი თავებს აკანტურებდნენ სახლში დიდით ზატარამდინ; მრთელს სოფელში შეიტყეს რომ სალო-

მეია ზეტროენა ზირველი ქალბატონი იყო სახლში, ზ ბანება იყო ფილიპე სავინისაგან მიცემული, ვისაც რა საქმე ჰქონდა, იმას უნდა სლებოდნენ, თავის დაკვრით ზ მოწიწებით ეთხოვნათ.

ლიუბოენა იაკოვლეენა მსოლოდ ამითი ნუგეშობდა, იულია ზავლოენა ზ ის დანიშნებდნენ ხურხულს, ზ ბოლოს განშორდებოდნენ. გიორგიმ ფრანცუხულს ენას ძალიან ბეჯითობა დაუწყო, ამას გარდა ერსკულათ სწავლობდა სატვას, ტანციობას, ფორტოპიანოს ზ სსჟა. ძალიან მოეწონა გიორგი სალომეიას, მე ვავანათლებ ამის გონებას, ვაქცევ სამაგალითო კაცად, ჰფიქრობდა ის. ჭორტოპიანო ვადიტიანეს სალომეიას ოთახში, სადაცა ასწავლიდა როგორც გიორგის, ისე ზატარა ქალს როსალიას; სწავლის დროს ვის შეეძლო ახლო მიჰკარებოდა. სალომეიას ვრძნობას დაუღვა მსიარულებითი დრო, იმან ვადივიწვა დიმიტრიცვი, მაგრამ ეს ვადამა სალომეია საშიში ვადამა იყო გიორგისათვის. როდესაც თავის ოსტატს თვალეებში შესედავდა, ვაწითლდებოდა სოლმე.

როდესაც კარვით ვცოდინებოდა უროგი გიორგის, სალომეია თავსედ ჰკოცნიდა ზ რა განსხვავება იყო

გიორგის გმინობისათვის, სალომეიას ქცევა ზ ვოკი-  
ოსი; ფილიპე საეინი გიჟდებოდა სალომეიას სიუქარუ-  
ლით, მაგრამ იმისი გული გიორგიმ მიიხიდა; ფილი-  
პე საეინს რაც რომ საქმე ჰქონდა სულერთიან დაავი-  
წედა, ასე გასინჯეთ ის ფიქრიც შეუვიდა თავში, რომ  
ცოლი არა ჰქოლოდა შეერთო.


— სალომეია ჰეტროფნა, უთხრა იმან ერთხელ;  
თქუწნ ნამდვილს დედასედ უკეთესი ხართ ჩემის შვი-  
ლებისათვის; იმ დღითგან, რა დღითგანაც აქა ხართ,  
მრთელი სახლი ფესხედა დგას; თქუწნა ხართ სრული  
სახლის ჰატრონი, თქუწნთან დამალული არა მაქუწრა,  
მოიქცდით ზ მოიხმარეთ ისე, როგორც თქუწნი სურ-  
ვილია.

— ძრიელ მომატებულს უფლებას მამლეუთ  
ფილიპე საეინ; თქუწნა გეავთ ცოლი, უთხრა სალო-  
მეიამ გულ-წრფელებით.

ეს სიტყვა უთხრა განკებ სალომეიამ, რომ  
შეეკავებინა იმისი მკსნებარე გული. ფილიპე სა-  
ეინი მისგდა თავისებურად, იმას ეგონა რომ სა-  
ლომეიამ უნახუნა!

— მე ვიკისრები თქვენს თხოვნას, თუ  
რომ არ გეუფლებოდათ ცოლი.

ივ. კერესელიძე.



1872 წელსა.

„ცისკრის“ დაბარება შეიძლება ამ სახით:  
ტფილისში, ადგილობრივ გაუკზაუნელად თუ გაკზა-  
უნით, 8 მანეთი.

რედაქცია იმუოფება კუკიის ხიდზედ, მირსოვეის  
შენობაში, მარტირუსიანის სტამბაში. ქ. ტფილისში.

ვისაც ჟურნალი დააკლდეს — თავის დროზედ არ  
მიერთოს, უმოწილესად ითხოვს რედაქცია, მაშინვე  
აცნობოს ამ ადრესით:

„ცისკრის“ რედაქტორს ი. კერესელიძეს, ტფილისში.

---

Дозволено Цензурою. 30 августъ. 1872 г.